აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომისიის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიში

2013 წლის 12 დეკემბრიდან 2014 წლის 27 აგვისტოს პერიოდისათვის

კომისიის შემადგენლობა

კომისიის თავმჯდომარე - მედეა ვასაძე

კომისიის წევრები:

სვეტლანა კუდბა

სულხან ღლონტი

ირაკლი ჯაში

ასმათ დიასამიძე

პეტრე ზამბახიძე

თემურ ბოლქვაძე

კომისიის აპარატის თანამშრომლები

კომისიის აპარატის უფროსი - ლიანა ვაჩეიშვილი

კომისიის თავმჯდომარის თანაშემწე - თამარ წილოსანი

მთავარი სპეციალისტი - აკაკი ბერიძე

მთავარი სპეციალისტი - თინათინ ხოფერია (მ/შ)

წამყვანი სპეციალისტი - ირაკლი აბაშიძე

უფროსი სპეციალისტი - თამაზ ქობულაძე

საქართველო, ქობულეთის მუნიციპალიტეტი

ჩაქვი, მეგენეიშვილის ქ. 25

ტელ: 032 (2) 285478/76

I. საკანონმდებლო საქმიანობა

საანგარიშო პერიოდში გაიმართა კომისიის 8 სხდომა, რომელზეც განხილულია უმაღლესი საბჭოს 2 კანონის, 5 დადგენილების, 1 რეგლამენტის პროექტები, მომზადებულია 12 დასკვნა. კომისიაზე ასევე, მოსმენილია და ცნობადაა მიღებული 2013 წლის და 2014 წლის ბიუჯეტის ორი კვარტლის შესრულების

ანგარიშები, ასევე აჭარის ა.რ. სამინისტროებისა და უწყებების 2015 -2018 წწ. ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების შესახებ დოკუმენტი.

საკანონმდებლო ინიციატივა:

2014 წლის 20 მარტს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის საკანონმდებლო ინიციატივის საფუძველზე მიიღო დადგენილება „გენდერული თანასწორობის შესახებ" საქართველოს კანონში შესატანი ცვლილების ინიცირებაზე, რომელიც საქართველოს პარლამენტმა მიიღო 17 აპრილს. კანონი ძალაში შევიდა 27 აპრილს.

"გენდერული თანასწორობის შესახებ" საქართველოს კანონს დაემატა მეთორმეტე (პრიმა) მუხლი, რომელიც არეგულირებს გენდერულ საკითხებზე სისტემურ და კოორდინირებულ მუშაობას ავტონომიურ რესპუბლიკებსა და პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შორის. უზრუნველყოფს, ამ მიმართულებით, დისკრიმინაციის გამოვლენისა და მისი აღმოფხვრის ღონისძიებების შემუშავებას. შესაბამისად, უმაღლეს საბჭოში შეიქმნა გენდერული თანასწორობის საბჭო, დასრულდა მისი ფორმირება და ამით კომისიამ აიღო პასუხისმგებლობა და დაიწყო მონიტორინგი „საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2014-2016 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ" საქართველოს პარლამენტის დადგენილების რეალიზაციაზე.

- ამჟამად, კომისია მუშაობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამოქალაქო ინტეგრაციის, შრომითი უფლებების გაუმჯობესების, მათი მშობლების საპენსიო უზრუნველყოფის და სხვა პრიორიტეტულ საკითხებზე ცვლილებათა საკანონმდებლო პაკეტის შემუშავებაზე, რომლის ინიცირების შემდეგაც, კომისია უზრუნველყოფს პროექტის საჯარო განხილვას. აღნიშნულთან დაკავშირებით, საკითხი დაისვა 13 მარტს არასამთავრობო ორგანიზაციის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისათვის" წარმომადგენელთან შეხვედრის დროს.
- კომისიის აპარატი მუშაობს ასევე, საკანონმდებლო ინიციატივაზე, რათა ადმინისტრაციული სამართალწარმოების სარჩელებზე მოსარჩელეები განთავისუფლებულნი იქნან სახელმწიფო ბაჟისაგან, ანუ „ბაჟის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების განხორციელებაზე.

II. კომისიაში განხილული კორესპონდენციის რაოდენობა - 582

შემოსული კორესპონდენციის რაოდენობა (საქართველოს პარლამენტიდან, უმაღლესი საბჭოდან, აჭარის მთავრობიდან, საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, სხვადასხვა უწყებიდან და მოქალაქეებიდან) - **304**

გასული კორესპონდენციის რაოდენობა - 278

III. მოქალაქეთა განცხადებები, სტატისტიკა და თემატიკა

2013 წლის 24 დეკემბრიდან 2014 წლის 27 აგვისტომდე შემოვიდა სულ 113 მოქალაქის განცხადება

1. პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების თხოვნით შუამდგომლობისთვის მოგვმართა – 10-მა მსჯავრდებულმა, ოთხ მათგანს გაეწია შუამდგომლობა, ექვსის განცხადება რეაგირებისთვის გადაგზავნილი იქნა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში.
2. ბრალდების მხარესთან/პროკურატურასთან/ სხვადასხვა საკითხზე შუამდგომლობის თხოვნით მოგვმართა 8 მოქალაქემ. რვავე შესაბამისი რეაგირებისათვის, გადაგზავნილია პროკურატურაში.
3. სისხლის სამართლის საქმეებზე დაწყებული და გაჭიანურებული გამოძიების ფაქტებზე მოგვმართა 11-მა მოქალაქემ, რეაგირებისათვის გადაგზავნილია შესაბამის უწყებებში.
4. კონკრეტული ფაქტების გამო სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შუამდგომლობის თხოვნით მოგვმართა ერთმა მოქალაქემ. განცხადება კონკრეტული რეკომენდაციით გადაიგზავნა პროკურატურაში.
5. სასჯელის გადავადებაზე და სასჯელისაგან გათავისუფლებაზე შუამდგომლობისათვის მოგვმართა 7-მა მოქალაქემ (მათ შორის ნათია შალიკაშვილის გახმაურებული საქმე), გადაგზავნილი იქნა შესაბამის უწყებებში, ამ უკანასკნელის მიმართ, მოკლე დროში, სასამართლომ განჩინებით გადაწყვიტა სასჯელის მოხდისაგან მისი გათავისუფლება.
6. სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევაზე მოგვმართა 9 მოქალაქემ, გატარებულია შესაბამისი ღონისძიება.
7. სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების დაჩქარებაში დახმარებისათვის მოგვმართა 3-მა მოქალაქემ. განცხადებები კონკრეტული რეკომენდაციებით გადაგზავნილია აღსრულების ეროვნულ ბიუროში.
8. შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელით დაკისრებული თანხის განაწილვადებაზე მოგვმართა 5-მა მოქალაქემ. სააღსრულებო ბიუროს მიერ დაკმაყოფილებული იქნა ჩვენი 4 შუამდგომლობა;
9. საკანონმდებლო ინიციატივაზე – შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებებთან მიმართებაში, მოგვმართა 3-მა მოქალაქემ, რაზედაც მუშაობს კომისიის აპარატი.
10. ბავშვთა უფლებებისა და ინტერესების დაცვისათვის განცხადებით მოგვმართა ერთმა მოქალაქემ, რომელიც განხილვის სტადიაშია. ასევე, კომისიას დახმარების თხოვნით მიმართა ერთმა მოქალაქემ (მცირეწლოვანის დედამ) მკურნალობის საკითხზე, რომელიც დაკმაყოფილდა.
11. მარტოხელა დედისათვის სახელმწიფო შემწეობის/სოციალური დახმარების მიღებისათვის/ მოგვმართა ერთმა მოქალაქემ, რომელსაც გაეწია დახმარება.
12. საკუთრებასთან დაკავშირებული უფლებების დაცვისათვის მოგვმართა 13-მა მოქალაქემ. გატარებულია შესაბამისი ღონისძიებები, განცხადებების ნაწილი კი გადაგზავნილია პროკურატურაში.
13. კირნათში (საავადმყოფოს აშენების მიზნით), ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობის პირდაპირი წესით შესყიდვაზე დახმარების თხოვნით მოგვმართა ერთმა მოქალაქემ, განცხადება შესაბამისი რეკომენდაციით, გადაგზავნილია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში.
14. სამედიცინო დახმარებაზე ანუ პაციენტის უფლებების დაცვაზე (მკურნალობასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსების თხოვნით შუამდგომლობაზე) მოგვმართა 5 -მა მოქალაქემ. მათ შორის 3 მოქალაქეზე შუამდგომლობა დაკმაყოფილდა აჭარის ა.რ. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ძალისხმევით, ხოლო ერთმა მოქალაქემ (ჩვენი შუამდგომლობით) დაფინანსება მიიღო ბიზნეს სექტორისაგან. ერთი კი განხილვის სტადიაშია.

15. სანიტარული ნორმების დაცვის გააქტიურების მიზნით მოგვმართა ერთმა მოქალაქემ. განცხადება, გარკვეული რეკომენდაციით, გადაგზავნილი იქნა ადგილობრივ თვითმმართველობაში.
16. შრომით მოწყობაში დახმარებისათვის მოგვმართა 25-მა მოქალაქემ, გაეწიათ რეკომენდაცია და შუამდგომლობა, შედეგად 1/3 დაკმაყოფილებულია (ანუ დასაქმებულია), ნაწილი აყვანილია კონტროლზე.
17. სამეზობლო დავაში კონსულტაციისათვის მოგვმართა ერთმა მოქალაქემ, რომელსაც გაეწია სამართლებრივი დახმარება.
18. სხვადასხვა პრობლემებთან დაკავშირებით (სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების ხელშეშლაზე, გარევაჭრობის ნებართვის მოთხოვნაზე, პატიმართან შეხვედრის მოთხოვნაზე, საცხოვრებელი სახლის შენარჩუნებისათვის საბანკო დავალიანების გადავადების თხოვნით და სხვა სკითხებზე), დახმარებისათვის მოგვმართა 7-მა მოქალაქემ, რომელთა ნაწილი გადაწყვეტილია, ნაწილი კი განხილვის სტადიაშია.

განცხადებების შესრულების მიმდინარეობა აყვანილია კონტროლზე.

IV. მოქალაქეთა მიღება

საანგარიშო პერიოდში კომისიის წევრები და აპარატის უფროსი მოქალაქეთა მიღების ფარგლებში შეხვდნენ **342 მოქალაქეს**

კომისიის თავმჯდომარე მედეა ვასაძე - 199 მოქალაქეს
კომისიის აპარატის უფროსი ლ. ვაჩეიშვილი - 66 მოქალაქეს

კომისიის წევრები :
სვეტლანა კუდბა - 45 მოქალაქეს
ირაკლი ჯაში - 14 მოქალაქეს
სულხან ღლონტი - 11 მოქალაქეს
პეტრე ზამბახიძე - 6 მოქალაქეს
თემურ ბოლქვაძე - 1 მოქალაქეს

V. კომისიისა და კომისიის თავმჯდომარის ღონისძიებები

1. 7 თებერვალს, კომისიის თავმჯომარემ უმაღლესი საბჭოს უმრავლესობის წევრებთან, ბათუმის საკრებულოს წარმომადგენლებთან და აჭარის მაჟორიტარ დეპუტატებთან ერთად მონაწილეობა მიიღო საქართველოს პრემიერ–მინისტრთან ირაკლი ღარიბაშვილთან შემდგარ გაფართოებულ შეხვედრაში, სადაც განხილულ იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისთვის აქტუალური თემები, მიმდინარე რეფორმები, სამომავლო გეგმები. აჭარის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე, საუბარი ასევე შეეხო თვითმმართველობის არჩევნებს, ინვესტიციებთან, ბიზნესგარემოსთან დაკავშირებულ საკითხებს და ზოგადად, ქვეყნის საგარეო პოლიტიკის მიმართულებებს.

2. 5 მარტს, კომისიის თავმჯდომარემ მედეა ვასაძემ დაინტერესება გამოხატა გეგუთის კოლონიაში 24 წლის პატიმრის (გ. ფარტენაძის) გარდაცვალების ფაქტის მიმართ და ადგილზე მისვლით მიუსამძიმრა გარდაცვლილის ოჯახის წევრებს, რომლებიც სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციას გულგრილობაში ადანაშაულებდნენ და ეჭვის ქვეშ აყენებდნენ ექსპერტიზის პასუხს.

"სახელმწიფოს გააჩნია თავისი წილი პასუხისმგებლობა თავისუფლების აღკვეთის ადგილზე უზრუნველყოს პატიმრის უსაფრთხოება" - ამ შინაარსის იყო კომისიის თავმჯდომარის მედეა ვასაძის, მედიასთან და საზოგადოებასთან გაკეთებული განცხადება.

3. 6 მარტს, საქართველოს პარლამენტში გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მოწვევით კომისიის თავმჯდომარე მედეა ვასაძე დაესწრო გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომას, რომელსაც ესწრებოდნენ ასევე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი ქალბატონები, სადაც მოხსენებით გამოვიდა პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი.

4. 6 მარტს, კომისიის თავმჯდომარე მედეა ვასაძე, პირადად გაემგზავრა გეგუთის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მსჯავრდებულ გიგა ფარტენაძის გარდაცვალების მიზეზებთან დაკავშირებული საკითხების გასარკვევად და შეხვდა დაწესებულების ადმინისტრაციას.

5. 7 მარტს, კომისიის თავმჯდომარე მ. ვასაძე, იმავე საკითხებზე, ქუთაისში, შეხვდა საქართველოს სახალხო დამცველის რეგიონულ რწმუნებულს, რომელიც ჩართული იყო ამ საკითხში და ფლობდა გარკვეულ ინფორმაციას.

6. 13 მარტს, კომისიის თავმჯდომარე მედეა ვასაძე დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში შეხვდა „შშმ პირთა უფლებებისათვის“ არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელს და დაესწრო მათსა და ახალგაზრდულ უმაღლეს საბჭოსთან მემორანდუმის გაფორმების ღონისძიებას, რომელიც მიზნად ისახავს შშმ პირების საზოგადოებაში ჩართულობის გაზრდას.

ახალგაზრდულ უმაღლეს საბჭოსთან შედგა მოლაპარაკება, რომ მათ შემადგენლობაში აუცილებლად შევლენ შშმ პირები.

შეხვედრისას, კომისიის თავმჯდომარე მიესალმა ამ ინიციატივას და აღნიშნა, რომ საზოგადოებაში არსებობს ამ სტატუსის მქონე ადამიანებისათვის ჯერ კიდევ დაუძლეველი პრობლემები, შშმპ სამოქალაქო ინტეგრაციისა და გარემოსთან ადაპტირების თვალსაზრისით, შესაბამისად მათი ჩართულობით კომისია აუცილებლად შეიმუშავებს ამ საკითხზე საკანონმდებლო ინიციატივებს.

7. 21 მარტს, კომისიის თავმჯდომარემ, როგორც ერთერთმა მომხსენებელმა მონაწილეობა მიიღო, დემოკრატიული ჩართულობის ცენტრის ბათუმის ოფისში, ჰენრიხ ბიოლის ფონდის მიერ ორგანიზებულ საჯარო დისკუსიაში თემაზე „რატომ არ არის ქალი კაცის თანასწორი საქართველოში ?“ - ანალიზი. ძირითადი მომხსენებელი ანა არგანაშვილი „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის პროექტის მენეჯერი; მოდერატორი თემაზე - ნატა იმედაიშვილი.

8. 24-27 მარტს, კომისიის წევრებმა მ. ვასაძემ, ს. კუდბამ და პ. ზამბახიძემ მონაწილეობა მიიღეს ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის პლენარული სესიის სხდომის მუშაობაში, რომლის შესახებაც კომისიის წევრების მიერ უმაღლესი საბჭოსადმი წარდგენილია ანგარიში.

9. 2 აპრილს კომისიის თავმჯდომარე უმაღლესი საბჭოს სხვა წევრებთან ერთად მონაწილეობდა აჭარის ა.რ. მთავრობის თავმჯდომარესთან და საქართველოს პრემიერ-მინისტრთან ირაკლი ღარიბაშვილთან

10. 8 აპრილს, კომისიის თავმჯდომარე მ. ვასაძე უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარესთან და სხვა წევრებთან (უმაღლეს საბჭოში) შეხვდა საქართველოს სახალხო დამცველს უჩა ნანუაშვილს, სახალხო დამცველის მოადგილეს პაატა ბელთაძეს, აპარატის თანამშრომლებს და სახალხო დამცველის აჭარის რეგიონულ რწმუნებულს გიორგი ჩარკვიანს.

შეხვედრაზე მიმოიხილეს ადამიანის უფლებების მდგომარეობა აჭარაში, ისაუბრეს „მუყაოს ქალაქზე“, აქ მცხოვრები ბავშვების უფლებებზე, რომელთაც საცხოვრებელი პირობების გარდა აქვთ განათლების ხელმისაწვდომობის პრობლემაც, ვინაიდან აღნიშნულ ტერიტორიაზე საგანმანათლებო დაწესებულება არ არსებობს.

შეხვედრაზე მედეა ვასაძემ ეჭვის ქვეშ დააყენა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარის დიმიტრი დარბაისელის ქმედებები ერთ-ერთ მსჯავრდებულთან მიმართებაში და სრულიად გაიზიარა მისი დედის განცხადება მსჯავრდებულ შვილზე (სავარაუდოდ პირადი მოტივით) განხორციელებულ ზეწოლაზე. სახალხო დამცველს გადაეცა კომისიაში არსებული მასალები, რასაც შედეგად მოჰყვა ის, რომ აღნიშნული პატიმრის უსაფრთხოებაზე დაწესდა მონიტორინგი.

11. 15 აპრილს, კომისიის თავმჯდომარე მ. ვასაძე პარლამენტში გახლდათ მომხსენებელი მის მიერ ინიცირებულ კანონის პროექტზე.

12. 23 აპრილს, ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები მედეა ვასაძე, სვეტლანა კუდბა და აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე შეხვდნენ და აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული მიულოცეს იმ ადამიანებს, რომლებსაც არ გააჩნიათ მუდმივი საცხოვრებელი, არც პირადობის დამადასტურებელი მოწმობები და გამომდინარე აქედან, ვერ სარგებლობენ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში არსებული დახმარებებით.

კომისიის თავმჯდომარემ და წევრებმა, მათ, ამ საკითხების მოგვარებაში აღუთქვეს დახმარება, რაზედაც ამ დრომდე გრძელდება მუშაობა.

13. 29 აპრილს, კომისიის თავმჯდომარე მედეა ვასაძე უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარესთან ერთად დაესწრო ბათუმის განახლებული №3 საპყრობილეს გახსნას.

14. 30 აპრილიდან 6 ივნისამდე კომისიის თავმჯდომარის მ. ვასაძის მხარდაჭერით კომისიის აპარატში პრაქტიკა გაიარა ბათუმის შ. რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის სამმა სტუდენტმა. პრაქტიკანტები აწარმოებდნენ კომისიაში მათი ყოველდღიური საქმიანობის ანგარიშს, ეცნობოდნენ კომისიაში შემოსულ და გასულ კორესპონდენციას, კომისიის საკანონმდებლო საქმიანობას და ჩართული იყვნენ განცხადებების განხილვაში.

15. 6 მაისს, მშრომელთა საერთაშორისო დღის აღსანიშნავად, აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის მედეა ვასაძის ინიციატივით უმაღლეს საბჭოში გაიმართა შეხვედრა აჭარის გაერთიანებული პროფკავშირების წარმომადგენლებთან.

შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა აჭარის რეგიონში უცხოელი ინვესტორებისა და ადგილობრივი მეწარმეების მიერ დასაქმებულ პირთა პრობლემატიკის შესწავლა; სახელშეკრულებო ურთიერთობისას დისკრიმინაციის, დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის არსებული დისბალანსის აღმოფხვრა, ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის გააქტიურება სამართლიანი და თანაბარი უფლებებით უზრუნველყოფილი შრომითი ურთიერთობების მხარდასაჭერად.

შეხვედრაზე მედეა ვასაძე გაეცნო აჭარის გაერთიანებული პროფკავშირების წარმომადგენლებისაგან მოწოდებულ ინფორმაციას, მოსაზრებებს და რიგ საკითხებზე მიიღო წერილობითი მასალები.

16. 21 მაისის კომისიის სხდომაზე მედეა ვასაძემ განსახილველად წამოაყენა შეხვედრის დროს მოწოდებულ მასალებზე „სინოჰიდროსა“ და აჭარაში მოქმედ სხვა კერძო კომპანიებში დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის შესაძლო კანონდარღვევებზე მოსაზრება და კოლეგებს მოუწოდა ამ საკითხებში ჩართულობისაკენ.

კომისიის აპარატში აღნიშნულზე დაწყებულია მუშაობა დამატებითი მასალების მოსაპოვებლად - საკითხის უკეთ შესწავლისა და პრობლემის გადაჭრის გზებზე რეკომენდაციის შესამუშავებლად.

17. 13 მაისს, კომისიის თავმჯდომარის მხარდაჭერით აჭარის ა.რ. უმაღლეს საბჭოსა და ახალგაზრულ უმაღლეს საბჭოს შორის გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც ითვალისწინებს საკანომდებლო საქმიანობის განხორციელების პროცესში ახალგაზრდა წევრების მონაწილეობასა და ჩართულობას. პირველი ახალგაზრდული უმაღლესი საბჭოს სხდომა გაიმართა 20 მაისს, რომელიც გახსნა კომისიის თავმჯდომარემ მედეა ვასაძემ. სხდომას ესწრებოდნენ ასევე კომისიის წევრები ასმათ დიასამიძე, პეტრე ზამბახიძე, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დავით ბაციკაძე, უმაღლესი საბჭოს წევრი ეკატერინე თარგამაძე.

18. 18 მაისს, კომისიის თავმჯდომარე მ. ვასაძე კომისიის აპარატის თანამშრომლებთან ერთად შეხვდა მოქალაქე ჯემალ ჭელიძეს, რომელიც პროტესტის ნიშნად შიმშილობდა ბათუმის საზღვაო ნავსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე, ქვეყანაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებების დარღვევის გასაპროტესტებლად. პროტესტის საბაბი იყო ოზურგეთის საპატრულო პოლიციაში მომხდარი ინციდენტი, რაც მდგომარეობდა იმაში, რომ მისი შვილი ავტოსატრანსპორტო საშუალების სპეციალური უფლების გარეშე მართვისათვის, საპატრულო პოლიციამ 1200 ლარით დააჯარიმა. მეორე მხრივ, ამ ვითარებაში პატივი არ სცეს მისი, როგორც შშმპ-ის უფლებებს. მედეა ვასაძის განმარტების შემდეგ, მოქალაქემ დაადასტურა აღნიშნული ჯარიმის კანონიერება. თუმც, იგივე პოზიციაზე დარჩა საპატრულო პოლიციის მიმართ.

კომისიის თავმჯდომარემ შეძლო მისი დარწმუნება, რომ შეეწყვიტა შიმშილობა, ამასთან უშუამდგომლა სააღსრულებო ბიუროსთან ჯარიმის სახით დაკისრებული თანხის გადახდის განაწილვადებაზე და გაატარა სხვა ღონისძიებები.

19. 23 მაისს, მედეა ვასაძემ კომისიის წევრთან სვეტლანა კუდბასთან ერთად ადგილზე მოინახულა ბავშვები, რომლებიც ქობულეთში 2014 წლის 22 მაისის, ოჯახური კონფლიქტით გამოწვეული ტრაგედიის გამო დაობლდნენ.

კომისიის წევრებმა მოინახულეს ბავშვები სოფ. მახინჯაურში, რომლებიც ორ ოჯახში იყვნენ გადანაწილებულნი. დაინტერესდნენ ბავშვების ჯანმრთელობისა და ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის საკითხებით, მეურვე ოჯახებს დაჰპირდნენ დახმარებას. შეხვდნენ ამ საქმეში ჩართულ სოციალურ მუშაკებსა და ფსიქოლოგებს.

20. 24 მაისს, კომისიის თავმჯდომარემ მ. ვასაძემ და კომისიის წევრმა ს. კუდბამ ორგანიზაციული და მორალური მხარდაჭერის მიზნით სოცმუშაკებთან და ფსიქოლოგებთან ერთად უზრუნველყვეს 8 არასრულწლოვანი ბავშვის მშობლების დაკრძალვაზე ჩაყვანა (სოფ. ოჩხამური).

1 ივნისს, ბავშვთა დაცვის დღეს, კომისიის წევრებმა ბავშვებს გადასცეს საჩუქრები და უზრუნველყვეს მათი „დელფინარიუმის“ წარმოდგენაზე დასწრება.

21. 28 მაისს, კომისიის თავმჯდომარე მ. ვასაძე შეხვდა სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლებულ ქალბატონებს და აღუთქვა მათ თანადგომა რესოციალიზაციის პროცესში, სამუშაოზე მოწყობასა და სხვა ყოფით საკითხებში. შედგა შეთანხმება მათ მჭიდრო კონტაქტზე კომისიასთან.

22. 27 მაისს, #3 სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში (სახალხო დამცველის რეგიონული რწმუნებულის გიორგი ჩარკვიანის შეტყობინების საფუძველზე) კომისიის თავმჯდომარემ მ. ვასაძემ მოინახულა მსჯავრდებული. მათ შორის შედგა კონფიდენციალური საუბარი. მსჯავრდებულის მიერ დასმულ რიგ საკითხებზე მიმდინარეობს მონიტორინგი.

23. 4 ივნისს, კომისიის თავმჯდომარემ მ. ვასაძემ მონაწილეობა მიიღო კონფერენციაში: „სამართალდამცავთა მიერ ჩადენილი შესაძლო დანაშაულების გამოძიების პრაქტიკა, საკანონმდებლო რეგულაციები და ეფექტიანი გამოძიების საერთაშორისო სტანდარტები“, რომელიც მოეწყო ევროკავშირის პროექტის ფარგლებში, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა და საქართველოს სახალხო დამცველის ორგანიზებით, თბილისში, სასტუმრო „ჰოლიდეი ინნ“-ის საკონფერენციო დარბაზში, სადაც კონფერენციაზე საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა თემაზე წარმოადგინა სპეციალური ანგარიში. ღონისძიების მონაწილეებმა განიხილეს დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შესახებ საერთაშორისო პრაქტიკა და სტანდარტები. ასევე, თემაზე სახელმწიფო ხედვის კონცეფციები.
კონფერენციაში მონაწილეობდნენ თომას ჰამარბერგი, ევროკავშირის სპეციალური მრჩეველი საქართველოში, საქართველოს პარლამენტის, იუსტიციის, შინაგან საქმეთა, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროებისა და მთავარი პროკურატურის წარმოამდგენლები.

24. 4 ივნისს, კომისიის თავმჯდომარე მ. ვასაძე ასევე, დაესწრო საერთაშორისო დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ - ქალთა საინფორმაციო ცენტრის, გენდერული თანასწორობის ქსელის, გენდერული სამართლიანობის, კავშირი „საფარის“ სამუშაო ჯგუფის შეხვედრას „ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის“ შესახებ, თბილისში სასტუმრო „შერატონის“ საკონფერენციო დარბაზში.

შეხვედრაზე, მონაწილეებმა ქვეყანაში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის ეფექტური განხორციელებისათვის კონკრეტული მოწოდებებით მიმართეს საქართველოს პარლამენტს, საქართველოს ხელისუფლებას, პოლიტიკურ პარტიებს, მედიას, რელიგიურ ინსტიტუტებს და საზოგადოებას.

25. 26 ივნისს, კომისიის წევრები მედეა ვასაძე და სვეტლანა კუდბა შეხვდნენ ქობულეთის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ სოფელში მცხოვრებ ოჯახს, სადაც მას შემდეგ, რაც სპეციალური პროგრამა ამოქმედდა უკვე 6 წელია მოლდოველი ბიჭუნა იზრდება. ამჟამად, ოჯახს მისი შვილად აყვანის დიდი სურვილი აქვს, თუმცა მოლდოვეთში მცხოვრები ბავშვის ბიოლოგიური ბებია ბავშვის გაშვილების წინააღმდეგია.

ბავშვთა უფლებების დაცვისა და ოჯახის ინსტიტუტის გაძლიერების ხელშეწყობისათვის კომისიის წევრებმა ოჯახს საკითხის სიღრმისეულად შესწავლა და პრობლემის სამართლებრივი გზით გადაწყვეტას დაჰპირდნენ.

დეპუტატებმა ბავშვთა უფლებათა კონვენციისა და საქართველოში არსებული კანონმდებლობის შესაბამისად იმსჯელეს საკითხის მოგვარებაზე იმგვარად, რომ მცირეწლოვანის ინტერესები ყოფილიყო მაქსიმალურად დაცული.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით საქართველო ახორციელებს იურისდიქციას და მფარველობას საქართველოში არსებულ მის მოქალაქეებზე ასევე მოქალაქეობის არმქონე პირებზე. შესაბამისად, ამ შემთხვევაში არასრულწლოვანი განეკუთვნებოდა მოქალაქეობის არმქონე პირს სააქტო ჩანაწერების გარეშე და მისი ბედი და მისი მომავალი იყო გაურკვეველი.

ვინაიდან არასრულწლოვნის ინტერესები არის გადამწყვეტი სახელმწიფო ინსტიტუტებისათვის, ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომისიამ სწორედ არასრულწლოვნის

ინტერესებისათვის ფაქტობრივად მფარველ ოჯახს გაუწია რეკომენდაცია, რომ სამართლებრივი გზით მოახდინოს ბავშვის შვილად აყვანა.

მოქმედი კანონმდებლობით, მისი ბავშვთა სახლიდან გაშვილება, რომ მომხდარიყო ბავშვის სტატუსი უნდა განსაზღვრულიყო სასამართლოს გადაწყვეტილებით, კერძოდ მიჩნეული უნდა ყოფილიყო მიტოვებულად. ამ პროცედურის დაწყებისთანავე, ბავშვის ბიოლოგიური მშობლების მოძიება დარჩა საჭირო და აღმოჩნდა ბებია, რომელიც წინააღმდეგია გაშვილების.

ვინაიდან ბავშვი 2 წლიდან ოჯახური მზრუნველობის ქვეშ იზრდება, სურვილი აქვს გამზრდელ მშობლებთან დარჩენის და მისი ბიულოგიურ სამშობლოში გაგზავნა უქმნის ენობრივ, სოციალურ ბარიერებს. ჩვენი კანონმდებლობის შესაბამისად, არსებობს საკითხის სამართლებრივი გზით გადაწყვეტის შესაძლებლობა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შესაბამის ორგანოებთან სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსთან მიმდინარეობს საჭირო გარემოებების შესწვლა და სპეციალისტთა მოსაზრებების გათვალისწინებით გადაწყვეტილების მიღებაზე მუშაობა. დღეის მდგომარეობით საკითხი არის განსჯის საგანი. კომისია მუშაობს, რათა საბოლოო გადაწყვეტილებით არასრულწლოვანის ინტერესები იყოს მაქსიმალურად დაცული.

26. 27 ივნისს, წამების მსხვერპლთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით
კომისიის თავმჯდომარე მედეა ვასაძე სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №3 პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებსა და დაწესებულების პატიმრებს უშუალოდ შეხვდა.

1997 წლის 12 დეკემბერს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 52/145 რეზოლუციით 26 ივნისი გაეროს წამების მსხვერპლთა დახმარების საერთაშორისო დღედ გამოაცხადა, რომელიც ყოველწლიურად აღინიშნება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. ამ დღის მიზანია საზოგადოებას შეახსენოს, რომ წამება არა მხოლოდ მიუღებელია, არამედ დანაშაულია.

შეხვედრის მიზანი იყო ადმინისტრაციისაგან ინფორმაციის მოსმენა დაწესებულებაში არსებული პრობლემების შესახებ, პატიმართა პრობლემების შესწავლა მათი უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით.

მედეა ვასაძემ მოინახულა 6 საკანი და 30 - მდე პატიმარი და ადგილზე გაეცნო მათ პრობლემებს. ასევე, ის პატიმარიც, რომელმაც სამართლიანი სასამართლოს უფლების მოთხოვნით, რამოდენიმე დღის წინ, პრესაში გავრცელებული ინფორმაციით, სხეულზე თვითდაზიანებები მიიყენა. ამჟამად, პატიმრის ჯამრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

პატიმრები ძირითადად ითხოვენ ობიექტურ გამოძიებასა და სამართლიანი სასამრთლოს უფლებას.

შეხვედრის დაწყებამდე კომისიის თავმჯდომარემ მოინახულა პატიმართან შეხვედრის მოლოდინში მყოფი მშობელი, რომელმაც აღნიშნა, რომ ადმინისტრაციის მიმართ პრეტენზიები არ გააჩნია, მისი მდგომარეობა პატიმრის ინფორმაციით დამაკმაყოფილებელია, მხოლოდ დაწესებულებამდე ამოსასვლელად არ არსებობს ტრანსპორტირების საშუალება. შესაბამისი სამსახურიდან ინფორმაციის გამოთხოვის შემდეგ, ცნობილი გახდა, რომ ტრანსპორტირების საკითხი მოგვარებულია, ვინაიდან საათში ერთხელ ციხის მიმართულებით რეგურალურად მოძრაობს სამარშუტო ტაქსი. შეხვედრის შემდეგ ასევე, მედეა ვასაძემ მოინახულა მოშიმშილე პატიმრის დედაც და გამოთქმული პრეტენზიების შესწავლას დაჰპირდა.

კომისიაში მიმდინარეობს პატიმრების პრობლემების ინდივიდუალურად შესწავლა და დაწესებულებიდან შემოსულ 6 განცხადებაზე რეაგირებისათვის - შუამდგომლობა (საპროცესო გარიგებაზე თხოვნით) კომისიის თავმჯდომარის მედეა ვასაძის მიერ გადაგზავნილია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურაში.

27. 1 ივლისს, მედეა ვასაძე კომისიის აპარატის თანამშრომლებთან ერთად ეთნიკური ნიშნით დევნის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე, შეხვდა ოსი ეროვნების მოქალაქეს. მისი განცხადებით,

საქართველოში წლებია ირღვევა მისი უფლებები. ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ მედეა ვასაძემ მასთან შეხვედრისას ისაუბრა ქვეყანაში ეთნიკური უმცირესობების უფლებების დასაცავად ბოლო დროს გადადგმულ ნაბიჯებსა და თითოეული მოქალაქის უფლებების ხელშეუხებლობის მნიშვნელობაზე. დეპუტატი მოქალაქეს საკითხის დეტალურად შესწავლასა და დახმარებას დაჰპირდა.

28. 5 ივლის, კომისიის თავმჯდომარე მედეა ვასაძე მხარდასაჭერად ადგილზე შეხვდა თამარის დასახლების მაცხოვრებლებს, რომლებიც აქციას მართავდნენ სანაპიროზე მცირე ზომის დაცული ნავსადგურის მშენებლობის წინააღმდეგ.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ-ის „ტექნიკური ზედამხედველობის სააგენტოს მიერ საქართველოს სასაზღვრო პოლიციის მცირე ზომის დაცული ნავსადგურის მშენებლობაზე გაცემულმა ნებართვამ (ბრძანება 44/01-06, 7.04.2014) და დაწყებულმა შესაბამისმა სამუშაოებმა გამოიწვია დასახლების ტერიტორიაზე მცხოვრებლების პროტესტი, რომელიც უკვე პერმანენტულ ხასიათს ატარებს.

მედეა ვასაძის განმარტებით აღნიშნული ტერიტორია, რომელიც მშენებლობის ადგილს წარმოადგენს ე.წ. ბ.ნ.ზ.-ეს დასახლების ზღვის სანაპირო ზოლს, რომელიც მიმზიდველია დამსვენებლისათვის და მოსახერხებელია ზღვაზე გასასვლელად ტურისტებისთვისა და ადგილობრივებისთვის არის მთავარი, ზოგი მათგანისთვის კი ერთადერთი შემოსავლის წყარო ზაფხულის სეზონისათვის, რასაც (საცხოვრებელი ბინების გაქირავების თვალსაზრისით) ელოდებიან სეზონიდან-სეზონამდე. მოსახლეობის პრეტენზია, რომ ამ მშენებლობის განხორციელებით იკეტება ზღვის სანაპირო ზოლი და აღნიშნული ტერიტორია კარგავს გარკვეული ტურისტულ „ხიბლს“, მედეა ვასაძის მოსაზრებით საფუძვლიანია. გამომდინარე აქედან მნიშვნელოვანია გადაიხედოს წარმოებული მშენებლობის წარმოებისა და მიზანშეწონილობის საკითხი, რაზედაც კომისიის თავმჯდომარესთან მუშაობის შედეგად ბათუმის მაჟორიტარმა დეპუტატმა პარლამენტში მურმან დუმბაძემ წერილობით მიმართა ქვეყნის პრემიერ-მინისტრსა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს.

21 ივლისს, მედეა ვასაძე და მურმან დუმბაძე ბათუმის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროში შეხვდნენ აქციის ათამდე აქტიურ წარმომადგენელს და მათთან ერთად განიხილეს ზემოხსენებული უწყებებიდან აღნიშნული საკითხზე მიღებული პასუხი.

29. 19 ივლისს, კომისიის თავმჯდომარე მედეა ვასაძე მიოპატიის პრობლემის მქონე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სატელეფონო შეტყობინების საფუძველზე, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის აპარატის უფროსთან ერთად შეხვდა მოქალაქეს ბათუმის რეფერალურ საავადმყოფოში, რომელიც ითხოვდა ჰოსპიტალური მკურნალობის გაგრძელებას *და სახლის პირობებში* სასუნთქი აპარატით მის უზრუნველყოფას. მედეა ვასაძის დახმარებით მას გაუგრძელეს მკურნალობა და დაჰპირდნენ სასუნთქი აპარატის უმოკლეს ვადაში გადაცემას.

კომისიის თავმჯდომარის მედეა ვასაძის შუამდგომლობით აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ აღნიშნული მოქალაქის მოთხოვნა დააკმაყოფილა.

საანგარიშო პერიოდში კომისიის თავმჯდომარეს და წევრებს მონაწილეობა აქვთ მიღებული უმაღლესი საბჭოს მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა ღონისძიებაში.